თბილისში, კოსტავას 65-ის და 67-ის მიმდებარედ მდებარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის

წევრთა კრების ოქმი

ქ. თბილისი 11 ნოემბერი, 2026

ქ. თბილისში, კოსტავას 65-ის და 67-ის მიმდებარედ მდებარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის (შემდგომში – „ამხანაგობა“) წევრთა კრება ჩატარდა **შპს კენ კონსთრაქშენის** ინიციატივით, 2026 წლის 11 ნოემბერს, მისამართზე: ქ. თბილისში, კოსტავას 65-ის და 67-ის მიმდებარედ.

კრება დაიწყო 10:00 საათზე.

კრებას ესწრებოდნენ შემდეგი წევრები ან მათი წარმომადგენლები:

შპს კენ კონსთრაქშენ (საიდენტიფიკაციო ნომრით: 405038418, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი, რამაზ ჩხიკვაძის ქ. №1, კომერციული ფართი №4/1, სართ.4, (II ბლოკი)), წარმოდგენილი დირექტორის, **ლადო წერეთელის** მიერ – 72 ხმა.

საქართველოს კანონის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ 28.2 მუხლის თანახმად, *ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 2/3. ამხანაგობაში* არის სულ 102 საკადასტრო ერთეული და ჰყავს 30 მესაკუთრე. კრებაზე წარმოდგენილი იყო 1 მესაკუთრე, რომელთა საკუთრებაშია 72 საკადასტრო ერთეული.

კრებაზე წარმოდგენილია საკადასტრო ერთეულების 2/3-ზე მეტი, შესაბამისად, კრება არის გადაწყვეტილებაუნარიანი კანონის შესაბამისად.

კრების თავმჯდომარედ დასახელდა ლადო წერეთელი, რომლის კანდიდატურასაც დამსწრე წევრებმა მხარი დაუჭირეს.

დღის წესრიგი:

ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №65-ისა და №67-ის მიმდებარედ, ს/კ 01.10.13.041.092 მიწის ნაკვეთზე დროებითი ელექტრო ქვესადგურის მოწყობის შესახებ თანხმობის გაცემის საკითხის განხილვა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა:

კრების თავმჯდომარემ განმარტა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად, საჭიროა ამხანაგობის წევრთა თანხმობის წარმოდგენა ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №65-ისა და №67-ის მიმდებარედ, ს/კ 01.10.13.041.092 მიწის ნაკვეთზე დროებითი ელექტრო ქვესადგურის მოწყობასთან დაკავშირებით.

კრების თავმჯდომარემ ასევე განმარტა, რომ დროებითი ელექტრო ქვესადგურის მოწყობა აუცილებელია ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №65-ისა და №67-ის მიმდებარედ, ს/კ 01.10.13.041.092 მიწის ნაკვეთზე განთავსებული საცხოვრებელი კორპუსის ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფის მიზნით.

გადაწყვეტილება:

1. ამხანაგობის წევრი თანხმობას აცხადებს ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №65-ისა და №67-ის მიმდებარედ, ს/კ 01.10.13.041.092 მიწის ნაკვეთზე დროებითი ელექტრო ქვესადგურის მოწყობაზე, საცხოვრებელი კორპუსის ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფის მიზნით.
2. აღნიშნული თანხმობა არ გულისხმობს მიწის ნაკვეთზე ან მის ნაწილზე საკუთრების უფლების გადაცემას ან მუდმივი სარგებლობის უფლების მინიჭებას.

3. ქვესადგურის მოწყობასთან, ექსპლუატაციასა და დემონტაჟთან დაკავშირებული სამუშაოები უნდა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი ტექნიკური მოთხოვნების დაცვით.
4. წინამდებარე ოქმი წარედგინოს თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს.

კენჭისყრის შედეგები:

- მომხრე – 72 ხმა;
- წინააღმდეგი – 0 ხმა;
- თავი შეიკავა – 0 ხმა.

შესაბამისად, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ამხანაგობის წევრთა საჭირო რაოდენობის თანხმობით.

კრება დასრულდა 10:30 საათზე.

ლადო წერეთელი

კრების თავმჯდომარე